# საინფორმაციო ცნობა

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

14 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ“.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ე. ა. შევარდნაძე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი.

პლენუმზე მიწვეულნი იყვნენ პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში.

პლენუმზე გამოვიდნენ ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი ფ. მ. მახარაძე, პოეტი-აკადემიკოსი ი. ვ. აბაშიძე, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. დ. ლორთქიფანიძე, „თბილისგვირაბმშენის“ ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადირი ა. ი. დათაშვილი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ვ. მგალობლიშვილი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი ჯ. ა. ჩარკვიანი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ვ. რ ასათიანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი თ. ვ. გამყრელიძე, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ერთობლივი საწარმოს ფირმის „არისთბილისის“ დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თ. ნ. ლოლაძე, საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე ნ. ვ. გურგენიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. ვ. მარგველიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი მ. მ. ხანანაშვილი, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორი ვ. ვ. კეშელავა, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი რ. დ. ჩხეიძე, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ე. ნ. შენგელაია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის ხელმძღვანელი ლ. ვ. მარშანია, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე რ. ხ. კონცელიძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. ნ. როდიონოვი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ნ. შ. ვასაძე, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი კ. ნ. ჩარკვიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი ვ. პ. ესვანჯია.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმმა მიიღო „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა რესპუბლიკის კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი, ახალგაზრდობისადმი“.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა დააკმაყოფილა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილის თხოვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. გ. გუმბარიძე, რომელიც წინათ მუშაობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო ბოლო დროს — საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ.

პლენუმზე გამოვიდა გ. გ. გუმბარიძე.

პლენუმმა ცნობად მიიღო ო. ე. ჩერქეზიას განცხადება თხოვნით რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, მხედველობაში აქვს რა, რომ მას განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესია.

პლენუმმა აგრეთვე ცნობად მიიღო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო დაეთანხმა ამხ. ზ. ა. ჩხეიძის თხოვნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ რეკომენდებულია ამხ. ნ. ა. ჭითანავა, რომელიც განთავისუფლებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე არმიის გენერალი კ. ა. კოჩეტოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 74 (9993)
16 აპრილი
კვირა,
1989 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

## რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს, ახალგაზრდობას

ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენო ძმებო და დებო, ბავშვებო! ძნელია ახლა მოიძებნოს სიტყვები, რომლებიც მთელი სისრულით გამოხატავდა ჩვენს გრძნობებს, განცდებსა და ფიქრებს.

და მაინც ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა, რომელზეც გვიხმო საგანგებო, მწარე და მძიმე გარემოებებმა, გადავწყვიტეთ სხდომის დამთავრებისთანავე მოგვემართა თქვენთვის. მრავალეროვანი საქართველოს მთელი ხალხისათვის.

დიახ, მოხდა ტრაგედია, რომლის ზნეობრივ მასშტაბსა და ზოგადსაკაცობრიო რეზონანსს ვერ გაზომავ ვერავითარი გონებაჭვრეტითი საწყაოთი, ვერავითარი ლოგიკური კატეგორიებით და საგანგებო გარემოებათა მოთხოვნების ვერავითარი დამოწმებით.

პლენუმი ერთსულოვანი იყო ამ დასკვნაში.

ჩვენმა პარტიულმა, მოქალაქეობრივმა, ზნეობრივმა მოვალეობამ მოითხოვა მიგვეღო არცთუ ადვილი გადაწყვეტილებანი, რომლებიც თქვენთვის ცნობილია ოფიციალური გამოქვეყნებული ცნობიდან.

ეს გადაწყვეტილებანი, რა თქმა უნდა, დაღუპულთ მკვდრეთით ვერ აღადგენს და ჭრილობებს ვერ მოაშუშებს.

მაგრამ ჩვენი მოვალეობა ხომ ისიც არის, რომ გამოვრიცხოთ ახალი მსხვერპლის, ახალი ტრაგედიების ყოველგვარი შესაძლებლობა, ამისათვის კი ჩვენთვის საარსებო მნიშვნელობა აქვს სიბრძნესა და სიმშვიდეს, მოთმინებასა და ვაჟკაცობას.

ჩვენი მოვალეობა ისიც არის, რომ უდიდესი პასუხისმგებლობითა და გარანტირებული ობიექტურობით გამოვიძიოთ უწვრილეს დეტალებამდე ტრაგიკული ამბების ყველა გარემოება, რაც დაევალა კიდეც კომპეტენტურ ორგანოებს საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით.

ჩვენი მოვალეობაა დავაცხროთ ემოციები და მოვუხმოთ გონიერებას, გავერკვეთ იმაშიც, როგორ განვითარდა მოვლენები, რომლებსაც საშინელი დასასრული მოჰყვა, როგორ და ვინ აღვივებდა ვნებებს, ვის და რა ზომით უნდა დაეკისროს პერსონალური პასუხისმგებლობა მომხდარი ფაქტისათვის საზოგადოების წინაშე.

ეს რთული ამოცანაა, იგი უნდა გადავწყვიტოთ ერთად, გულახდილად და საჯაროდ, მაგრამ მისი გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ფხიზელ, მშვიდ ვითარებაში.

ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, ვისაც ნამდვილად სურს მშვიდობა ჩვენს სახლში, ვისაც ნამდვილად სურს მშობლიური საქართველოს აყვავება და დამოუკიდებლობა, იღონოს ყველაფერი ვითარების ნორმალიზაციისათვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის აღდგენისათვის.

ჩვენ მოვალენი ვართ თვითონ, საზოგადოებრიობის, მშრომელთა ძალებით აღვადგინოთ რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრივი, შრომითი ცხოვრების რიტმი, უზრუნველვყოთ სიმშვიდე და მართლწესრიგი და ამით მოვხსნათ საგანგებო ღონისძიებათა ყოველგვარი საჭიროება.

ჩვენ ახლა გვეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, ეს, როგორც ხაზგასმით აღნიშნა თავის მიმართვაში ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, „დიდი პასუხისმგებლობაა ხალხისა და ისტორიის წინაშე“.

და ჩვენ უნდა ვიპოვოთ ძალები, რათა ვიკისროთ ასეთი პასუხისმგებლობა, როგორც გუშინდელი, ისე ჩვენი ხვალინდელი დღისთვისაც.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის 14 აპრილის პლენუმის მონაწილენი.**

# გივი გრიგოლის ძე გუმბარიძე

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი



**გივი გრიგოლის ძე გუმბარიძე** დაიბადა 1945 წელს ქალაქ თბილისში, ქართველია, სკკპ წევრია 1972 წლიდან. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1965 წელს. მუშაობდა მეცნიერთანამშრომლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, შემდეგ პასუხსაგებ სამუშაოზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი, სექტორის გამგე, განყოფილების გამგის მოადგილე.

1983 წელს გ. გ. გუმბარიძე აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივნად.

1985 წლის ოქტომბრიდან იგი ინიშნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგედ, 1986 წლის აგვისტოდან კი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგედ.

1988 წლის მაისში გ. გ. გუმბარიძე აირჩიეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად.

1988 წლის დეკემბერში დაინიშნა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ.

გ. გ. გუმბარიძე არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი ბიუროს წევრი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

# ნოდარ ამროსის ძე ჭითანავა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე



**ნოდარ ამროსის ძე ჭითანავა** დაიბადა 1935 წელს, ქართველია, სკკპ წევრია 1958 წლიდან. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა. არის ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1954 წელს, იყო კოლმეურნე, სამშენებლო უბნის ბრიგადირი. 1959 წლიდან იგი კომკავშირულ სამუშაოზეა: არის საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომის ინსტრუქტორი, მეორე, შემდეგ კი პირველი მდივანი.

1962 წლიდან ნ. ა. ჭითანავა პარტიულ სამუშაოზეა: იყო საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის სამრეწველო-საწარმოო კომიტეტის მდივნის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის კონსულტანტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორი.

1970 წელს ნ. ა. ჭითანავა აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველ მდივნად, შემდეგ მუშაობდა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად.

1974 წელს იგი დაინიშნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად.

1979 წლიდან ნ. ა. ჭითანავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეა, 1985 წლის აგვისტოდან კი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ნ. ა. ჭითანავა არჩეული იყო სსრ კავშირის მეათე და მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი ბიუროს წევრი.

დაჯილდოებულია ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ე. ა. შევარდნაძის გამოსვლა

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1989 წლის 14 აპრილს

**ძვირფასო ამხანაგებო!**

**ჩემო მეგობრებო!**

უწინარეს ყოვლისა, მინდა გთხოვოთ გავიხსენოთ დაღუპულნი და ფეხზე ადგომით, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას.

ჩვენ ერთად მძიმე და მწარე ჟამმა შეგვკრიბა. და გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეს-ეს არის მივიღეთ, ძნელი და მწარეა, რადგან ეს განსაზღვრა ტრაგიკულმა ამბებმა, ტრაგიკულმა ამბებმა საქართველოსათვის და მთელი ჩვენი ქვეყნისათვის.

რატომ არ შემოვზღუდე ამ ტრაგედიის მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებით, შევეცდები მოგვიანებით განვმარტო. ჯერჯერობით კი მინდა ვთქვა, რომ არ შემიძლია და არც ვთვლი საჭიროდ დავმალო ჩემი გრძნობები. ვესაუბრე ამ საზარელი ღამის მოვლენების თვითმხილველთ და მოწმეთ! ვნახე ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები საყვარელი ქალაქის ქუჩებში, ვნახე ცრემლი და ნაღველი ხალხის თვალებში. მიზეზების მიუხედავად — ამაზე საგანგებო საუბარი გვექნება, — რომლებმაც წარმოშვეს ეს სამწუხარო ამბავი, არავის და არაფერს არ შეუძლია გაამართლოს ყოვლად უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვა.

ჩვენ მათ წინაშე ერთი უმაღლესი ვალი გვაკისრია — დავადგინოთ ჭეშმარიტება და სამუდამოდ ამოვძირკვოთ ასეთი ტრაგედიის გამეორების უმცირესი შესაძლებლობაც კი. ეს თავისთავად მნიშვნელოვანია, როგორც ზნეობრივი იმპერატივი. ეს მნიშვნელოვანია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისათვის. ეს მნიშვნელოვანია, ამას გაუზვიადებლად ვამბობ, მთელი მსოფლიოსათვის.

რატომ? შეიძლება მკითხონ, თუ რატომ შემაქვს ასეთი დაჟინებით, 9 აპრილის ეს მოვლენები საერთო-საკავშირო და, თუ გნებავთ, მთელ მსოფლიო პროცესში. იმიტომ, რომ ყოველი საქციელი, მოქმედება და ამბავი, რომლებიც ზიანს აყენებენ გარდაქმნას, განახლებას, დემოკრატიზაციას, გულსა სტკენს მთელ მსოფლიოს, იწვევს სევდას, ულგატეხილობის ელემენტებს, წარმოშობს სავსებით დასაბუთებულ შეშფოთებას. მერწმუნეთ: კაცობრიობა და მსოფლიო ჩვენს გარდაქმნას საუკეთესო მომავლის იმდენ იმედს უკავშირებს, რომ მისთვის შექმნილი ყოველი საფრთხე — იქნება ეს უპასუხისმგებლო პირობებისაგან, რომლებიც მეტად თავისუფლად განმარტავენ დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ცნებას, თუ სხვადასხვა თანამდებობის მატარებლებისაგან, რომლებიც ვერ შელევიან წარსულის ყალბ პრინციპებს, — ყოველი შეცდომა და ხარვეზი ამ პოლიტიკის რეალიზაციაში მსოფლიოში არავისათვის არ არის სულ ერთი.

მით უმეტეს, ვიმეორებ, როცა ეს დაკავშირებულია ადამიანთა დაღუპვასთან, სიკვდილთან და დანაკარგებთან.

თავისი შეშფოთება და წუხილი ამის გამო გამოთქვა კაცმა, რომელსაც ყველგან უწოდებენ გარდაქმნის არქიტექტორს, მისი ყველაზე ნოვატორული გადაწყვეტების ავტორს. მ. ს. გორბაჩოვის გუშინდელ მიმართვაში საქართველოს კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი საგნებს თავისი სახელი აქვს დარქმეული. „ის, რაც თბილისში მოხდა, — წერს მიხეილ სერგის ძე, — უდავოა, ზიანს აყენებს გარდაქმნის, დემოკრატიის, ქვეყნის განახლების ინტერესებს...".

მიმართვაში მწუხარება და თანაზიარობა, თანაგრძნობა და თანადგომა მეზობლობენ მომხდარი ამბების პოლიტიკურ შეფასებასთან. იმ რამდენიმე დღემ, რომლებიც გიორგი პეტრეს ძე რაზუმოვსკიმ და მე გავატარეთ ხანგრძლივ და უშუალო საუბრებში მუშებთან, მეცნიერებთან, შემოქმედ ინტელიგენციასთან, ახალგაზრდობასთან, უფროსი თაობის ადამიანებთან, განგვიმტკიცა ჩვენი შინაგანი რწმენა ამ შეფასების უთუო სიზუსტეში. და ამავე დღეებმა, მათი ტრაგიზმისა და წინააღმდეგობრიობის მიუხედავად, მოგვცა იმის დადასტურება, რომ საფუძვლიანია მიხეილ სერგის ძის მიერ გამოთქმული იმედი. თქვენ, რა თქმა უნდა, გახსოვთ, რა სიტყვებით არის გამოხატული ეს იმედი.

თავს ნებას მივცემ გავიმეორო ისინი, როგორც რწმენის ჩვენი საერთო სიმბოლო: „მთელი გულით მჯერა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები, ქართველი ერის ჰუმანისტური ტრადიციების ერთგულნი, გამოიჩენენ კეთილგონიერებას, საღ აზრს, მაღალ პასუხისმგებლობას, დაიცავენ გარდაქმნას, ჩვენს საერთო სოციალისტურ ღირებულებებს, ჩვენს ძმობასა და ერთიანობას. თქვენზეა, ამხანაგებო, დამოკიდებული — დაუბრუნოთ სიმშვიდე საქართველოს. ეს ზნეობრივი ვალია თითოეულისა, ვინც წმინდად იცავს წინაპართა ხსოვნას, რომლებიც ყველაზე მეტად აფასებდნენ მშვიდობასა და სიამტკბილობას მშობლიურ მიწა-წყალზე, ვინც თავის ხალხზე, მის მომავალზე ფიქრობს".

ამ ზნეობრივმა მოვალეობამ შეგვკრიბა დღეს ერთად და გვიკარნახა ეს-ეს არის მიღებული არცთუ მარტივი გადაწყვეტილება. იგი ვერ გააცოცხლებს დაღუპულებს და ვერ მოაშუშებს ჭრილობებს. მაგრამ იგი დაადასტურებს ჩვენს საერთო ერთგულებას დემოკრატიის იდეებისადმი, ჩვენს მზადყოფნას შევასრულოთ ხალხის ნება და იყოს ჩვენი იმ ერთიანი მტკიცე გადაწყვეტილების საწინდარი, რომ აღარ დავუშვათ მსგავსი რამ.

როცა ვამბობ „მსგავსი რამ", მოვალე ვარ განვმარტო, რაზეა ლაპარაკი. უწინარეს ყოვლისა, ჩემს ულრმეს შინაგან რწმენაზე, რომ დემოკრატია თვითდისციპლინის გარეშე ანარქიაა, თავისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე კი თვითმკვლელობას უდრის.

ყოველ, უფართოეს მდინარესაც კი ნაპირი აქვს. ყოველ, უფართოეს სახალხო მოძრაობასაც კი აქვს ან უნდა ჰქონდეს შინაგანი და გარეშე შემზღუდავები. როცა ადიდებულ მდინარესავით ნაპირებს გადალახავს, იგი სტიქიის ყოვლად დამანგრეველი თარეშის მაუწყებელი ხდება. სამწუხაროდ, ამას მარტო ისტორია როდი მოწმობს.

გულდასმითმა, მიუკერძოებელმა და ყოველმხრივმა გამოძიებამ იურიდიული და მეცნიერული უცილობლობით უნდა განსაზღვროს 9 აპრილის ტრაგედიის გამომწვევი ამბების ხასიათი და მიმართულება. დარწმუნებული ვარ: ყოველი დამნაშავე დასახელებული იქნება.

მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად თავს ნებას მივცემ უკვე ახლა გამოვთქვა შემდეგი მოსაზრება, რომელსაც საფუძვლად უდევს ბევრ და სულ სხვადასხვა ადამიანთან საუბრების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებანი. როცა თქვენს თვალწინ ხდება რაღაც ისეთი რამ, რაც ნაპირებიდან გადმოხეთქვისა და ერის ცხოვრებისა და რესპუბლიკის, მასში მცხოვრები ყველა ხალხის ბედის დესტაბილიზაციის საფრთხეს ქმნის, როცა გესმით ყოველგვარი თვალსაზრისით მიუღებელი მოწოდებები, ბუნებრივია, აზრი ეძებს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან.

ამას ვამბობ უკვე უქარაგმოდ, როცა ვეხები ამხანაგ ჯ. ი. პატიაშვილის მეთაურობით რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ეს არის გადაწყვეტილება ძალის გამოყენების, ჯარის ქვეგანაყოფების გამოყენების, თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღებას, როგორც ჩვენ გვითხრეს, მოითხოვდა რესპუბლიკის ბევრი თვალსაჩინო ადამიანი, რომლებიც ახლა მის კრიტიკოსთა როლში გამოდიან. გადაწყვეტილება, რომელიც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წევრებმა ლამის ერთხმად მიიღეს, ზოგიერთის გამოკლებით, რაზედაც ქვემოთ ვილაპარაკებ, გადაწყვეტილება, რომლის განხორციელებას ესოდენ მძიმე, გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვა.

მაგრამ თუ ეს ყველაფერი ასეა, შეიძლება მკითხონ, რატომღა წავიდა ჯუმბერ პატიაშვილი დღეს თავისი პოსტიდან? ამ დღეებში, ერთ-ერთ პატივსაცემ აუდიტორიაში გამოსვლისას, მან თქვა, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი გამოსვლა. მაშინ ამის თაობაზე შევნიშნე, რომ, პატივს კი ვცემ ჯუმბერ ილიას ძის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მაგრამ ვერ დავეთანხმები-მეთქი, რადგან არსებობს პარტიული დემოკრატიის მკაცრად განსაზღვრული ნორმები, რომელთა შესაბამისად ხდება ასეთი პროცედურა, იღებენ ასეთ გადაწყვეტილებას.

დღეს ეს გადაწყვეტილება მიღებულია. მაგრამ ბევრი რამ უთქმელი დარჩება, თუ არ ვიტყვით, რომ ამხანაგ პატიაშვილის საქციელში უთუოდ არის ზნეობრივი მაგალითიც.

პარტიული ცხოვრების პრაქტიკა არ იცნობს გადადგომის ინსტიტუტს. ეს მომდინარეობს იმ დროიდან, როცა პარტია თავს აღიქვამდა ერთიან სუბიექტად, რომელსაც უფლება ჰქონდა გადაეწყვიტა თითოეული თავისი წევრის ბედი. თავის მსგავს მასასთან სრული შერწყმა — აი, რას ეფუძნებოდა იგი. იგი თითქოს ეუბნებოდა ყველას: შენ კი არ იღებ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცე, არამედ პარტია.

დღეს თავს ნებას მივცემ გამოვთქვა ვარაუდი, რომ დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავებასთან ერთად, რომელიც მკვეთრად ამაღლებს პიროვნული საწყისის მნიშვნელობას, თავად პიროვნების მნიშვნელობას, ასევე მკვეთრად იზრდება თითოეული კომუნისტის ინდივიდუალური, პერსონალური პასუხისმგებლობაც, რომელსაც, იქნებ, წინა პლანზე გამოაქვს პირადი ზნეობრივი იურისდიქციის პრობლემა.

ამხანაგმა პატიაშვილმა ეს პრობლემა თვითონ, ძალდაუტანებლად და მიუთითებლად გადაჭრა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა კი მხარი დაუჭირა მის ამ ძნელ და არცთუ იოლ გადაწყვეტილებას.

ძალიან მინდა, რომ პარტიის, ხალხის, გარდაქმნის ბედისათვის თითოეული კომუნისტის, ვიმეორებ, მოქალაქის პირადი პასუხისმგებლობის ეს თემა გაბატონებული იყოს ჩვენს დღევანდელ ფიქრებში.

პასუხისმგებლობა მომენტის, მოვლენათა მიმდინარეობის და ხასიათის შეფასებაშიც კი გვჭირდება.

დღესაც, ყველა იმ სიძნელის მიუხედავად, რომლებსაც უკვე წავაწყდით, კვლავ რამდენადმე გაუბრალოებულად წარმოგვიდგენია გარდაქმნის პროცესი. მას ვხედავთ ერთი ან ორი განზომილებით. არადა, აქ საჭიროა მოცულობითი ხედვა. გარდაქმნა ორი ურთიერთდაკავშირებული რეფორმა — ეკონომიკისა და პოლიტიკური სისტემის რეფორმა როდია... ეს არის ჩვენი საზოგადოების გადასვლა ფუნქციონირების ახალ საწყისებზე, სრული დემოკრატიის დამკვიდრება, სოციალისტური იდეალებისა და ღირებულებების ერთგული სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა.

პარტიამ დაიწყო საზოგადოების რევოლუციური გადაყვანა ცხოვრების ახალ, გაუზვიადებლად რომ ვთქვათ, თვისებაზე. შეუძლებელია ამ პროცესის დეკრეტირება, ნებითი გადაწყვეტილებებით რეგულირება. იმას, რასაც ვესწრაფვით, მხოლოდ მაშინ მივიღებთ, თუ დემოკრატიული გზით ვივლით.

ჩვენ გვაქვს უდიდესი ქვეყანა, ერთობ რთული საზოგადოება, უწინარეს ყოვლისა, თაობათა გამოცდილებით. დასამალი არ არის: არსებობს სხვადასხვა, ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო მიდგომები ტრადიციული ღირებულებებისადმი. თითოეულ თაობას წილად ხვდა უმძიმესი ფსიქოლოგიური და ფიზიკური დატვირთვა, მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, ქვეყანა გადარჩა, მან გაძლო, შეინარჩუნა თავისი სულიერი, ზნეობრივი, ინტელექტუალური პოტენციალი.

ეს რომ არა, გარდაქმნას წარმატების ერთადერთი შანსიც კი არ ექნებოდა. ახლა კი, როცა განახლების ჟამი დადგა, ჩვენ ვრწმუნდებით, რამდენად დიდია მაცოცხლებელი, შემოქმედებითი ძალების მარაგი, რა ენერგიულად ჩაებნენ ისინი დემოკრატიზაციისა და განახლების პროცესებში. მაგრამ გაზაფხულის ძალების ამ მძაფრმა მოზღვავებამაც კი შექმნა პრობლემები, თანაც — საკმაოდ რთული. რამეთუ საქმე დაიწყო დემოკრატიის ძალზე დაბალი ნიშნულიდან, პოლიტიკური კულტურის გარკვეული დეფიციტის, პოლიტიკური საქმიანობის მარეგულირებელი მინიმალური სამართლებრივი ბაზის პირობებში. მაგრამ სიმაღლის აღება უაღრესად სწრაფად ხდება.

მახსენდება, რა ჭეშმარიტად მისტიკური შიში გამოიწვია თავდაპირველად სიტყვა „პლურალიზმმა". დღეს ვსწავლობთ არა მარტო იმის წარმოთქმას, არამედ იმასაც, რომ ვცნობდეთ მის მიერ გამოხატულ დემოკრატიული ცხოვრების ნორმას.

მე, რომელსაც ათეულჯერ მიმიღია მონაწილეობა სხვადასხვა არჩევნებში, ჩემს ცხოვრებაში პირველად მხოლოდ 26 მარტს ამოვშალე ბიულეტენში კანდიდატის გვარი.

შეიძლება გავაკრიტიკოთ და უნდა გავაკრიტიკოთ კიდეც არჩევნების ჩატარების ახალი სისტემა — მას, უთუოდ, სჭირდება დაზუსტება, გაუმჯობესება. მაგრამ ეს არჩევნები გიგანტური წინგადადგმული ნაბიჯი გახდა გარდაქმნის განვითარების, ჩვენი ინსტიტუტებისა და პროცედურების დემოკრატიზაციის გზაზე.

ჩვენ სრულიად სხვაგვარ ზნეობრივ ატმოსფეროში ვცხოვრობთ. მთელმა საქართველომ ნახა, როგორ მიმდინარეობდა სსრ-ბაასი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში, ზედიზედ ოთხ საათს, ისე, რომ არ ერიდებოდნენ გამოთქმებს, თუმცა კი კორექტულად, მეცნიერებს გიორგი პეტრეს ძესთან და ჩემთან მეცნიერული დისპუტი კი არა, ნამდვილი პოლიტიკური დებატები ჰქონდათ, და სულაც არ მიგრძვნია არავითარი შინაგანი უხერხულობა იმის გამო, რომ დისკუსია ძალზე ცხარე იყო.

ჩვენ აღარც კი გვახსოვს რა იყო ამ ხუთიოდე წლის წინათ. ჩვენ უკვე სხვანი ვართ.

სიტყვები იმის შესახებ, რომ გარდაქმნა რევოლუციაა, დასტურდება ჩვენი ცხოვრების ყოველი დღით, იმ სირთულეებითა და სიძნელეებითაც კი, რომლებსაც ყოველდღიურად ვაწყდებით. ყველაზე მეტად პრობლემები და, პირდაპირ ვთქვათ, პოტენციურად საშიში პრობლემები წარმოიშობა იქ, სადაც წარმოიშობა სხვაობა ახალ რეალობებსა და ძველ სტრუქტურებს, ინსტიტუტებსა და დოგმებს შორის. ეს განსაკუთრებით საშიშია დემოკრატიული ტრადიციების დეფიციტის, პოლიტიკური დისკუსიების ჩამოუყალიბებელი პროცედურების, შეუწყნარებლობისა და დაუთანხმებლობის კულტურის სრული უქონლობის პირობებში.

ერთ აუდიტორიაში საგრძნობლად მაკლდა ელემენტარული მზადყოფნა მომესმინა ოპონენტის აზრი. საკუთარი შეხედულებების ექსტაზური გამოთქმა ისტერიის მიჯნაზე იყო, ხოლო ყველაფერი ერთად ძლიერ ჰგავდა ქრესტომათიულ ფანატიზმს.

ზოგჯერ არცთუ არსებითი უთანხმოება იქცევა ხოლმე დაუძლეველ ბარიერებად, ქმნის მწვავე კონფლიქტურ სიტუაციებს.

ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ იმ მდგომარეობიდან, რომელიც სრულიად აუცილებელია დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის, როცა თითოეული მოქალაქე უფრთხილდება დემოკრატიას, იცავს მას, ზრუნავს მისთვის.

ჩვენს პირობებში გასაგები და ბუნებრივი აჩქარებით გავედით საზოგადოებრივ სარბიელზე, სადაც ეს-ეს არის ფესვს იდგამს დემოკრატიის ყლორტები. საეჭვოა, რომ ისინი ძალუმად აბიბინდეს, თუ მეტისმეტად თავაშვებული არაკონსტიტუციური, კანონსაწინააღმდეგო დემონსტრაციები გათელავენ მათ.

ჩვენ, ამხანაგებო, სერიოზულად გვაწუხებს ღირებულებების შეცვლა, ამბიციების აღზევება, დემოკრატიისათვის ბრძოლის დროშით რომ ხდება. ეს საშიში მოვლენაა.

ჩვენი რწმენით, იმან, ვისაც დემოკრატია სურს, არ შეიძლება არ იბრძოლოს გარდაქმნისათვის.

ამავე დროს ბრძოლა ხშირად მისთვის კი არა, მის წინააღმდეგ წარმოებს, გარდაქმნის პროცესებით შექმნილ ნება-სურვილის გამოხატვის თავისუფლების ატმოსფეროს სრულიად შეგნებულად იყენებენ იმისათვის, რომ ძირი გამოუთხარონ არსებულ სახელმწიფო-პოლიტიკურ სტრუქტურებს.

ლაპარაკობენ 9 აპრილის ტრაგედიის წინ მომხდარი ამბების მშვიდობიან ხასიათზე, და დუმილით უვლიან გვერდს სრულიად არამშვიდობიან მოწოდებებს ანგარიშის გასწორებისათვის, წინადღით რომ გაისმოდა. ზოგიერთმა, ვისაც ახალგაზრდობის კერპობა სწყუროდა, ვინც ამას ჩემულობდა, არათუ უგულებელყო თავისი პასუხისმგებლობა მის წინაშე, არამედ დაიწყო ფრონდიორობა თავისი უპატივცემლობით კანონიერებისადმი, მართლწესრიგისადმი, კონსტიტუციისადმი. მე არ გამოვდივარ ბრალმდებლის როლში, მინდა მხოლოდ ვთქვა, რომ ვერაფრით ვერ დამიღწევია თავი იმ გრძნობისაგან, თითქოს ეგრეთ წოდებული არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერებიდან ზოგს სრულიად შეგნებულად მიჰყავდა ადამიანები, რომლებიც მათ ენდნენ, სამსხვერპლოზე.

მე არამც და არამც არ მომწონს ის ჯგუფები, რომლებიც თავიანთი საკუთარი, ანგარებიანი, კარიერისტული მიზნებით თავიანთ რიგებში ითრევენ უმცროსი კლასების მოსწავლეებს — ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებსაც კი — და მათ უსანქციო კანონსაწინააღმდეგო დემონსტრაციების პირველ რიგებში აყენებენ.

დაე, ყოველმა მოზრდილმა კაცმა გააჩეროს ბავშვი და უთხრას, რომ მისთვის ადრეა სხვების მიერ თავსმოხვეული ლოზუნგების ტარება ან შიმშილობის გამოცხადება. როცა დრო მოვა, იგი თავად გადაწყვეტს, ვისთან ერთად და სად იდგეს.

გარდაქმნა პარტიამ დაიწყო, მანვე იკისრა პასუხისმგებლობა მისი ბედისათვის. მომიტევონ ამხანაგებმა ეს მკვახედ ნათქვამი სიტყვა, მაგრამ, ჩემი აზრით, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ თანდათანობით დაკარგა ზოგიერთი თავისი მებრძოლური თვისება.

საქმე ლოზუნგებს არ ეხება. ისინი სწორედ რომ ჭარბად იყო აქ. ხებისმიერი სიტუაციის სწორად გაანალიზებისა და შეფასების, საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციის დანახვისა და მისდამი დამოკიდებულების დროულად განსაზღვრის უნარი, კი ნაკლები აღმოჩნდა. პარტია ვერ გაუწევს მეთაურობას გარდაქმნას, თუ არ გარდაქმნა საკუთარი საქმიანობის მეთოდები, სტილი და ფორმები. ნათქვამი უშუალოდ ეხება რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციას.

ჩემი აზრით, თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვადევნებდეთ თვალს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ინტერესების ბალანსის დაცვას. მის დარღვევას, თუ დროულად არ შევნიშნეთ და გამოვასწორეთ, შეიძლება მოჰყვეს — და უკვე მოჰყვა — საშიში გადახრები და დეფორმაციები საზოგადოების მდგომარეობაში.

სამწუხაროდ, პარტიული ორგანიზაციები ჩვენში ვეღარ ეწევიან საზოგადოებრივი პროცესების დინამიკას და ამის შედეგად — შეიძლება პირდაპირ ითქვას — დაკარგეს მდგომარეობისადმი კონტროლი, წააწყდნენ სრულიად უმართავ, ის კი არა, ძნელად გასათვალისწინებელ სიტუაციას. ესეც გახდა ფაქტორი,

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

# ე. ა. შევარდნაძის გამოსვლა

(დასასრული)

რომელმაც განსაზღვრა თბილისში მომხდარი ტრაგედია.

სრულიად არანორმალურია ბარიერის გაჩენა რესპუბლიკურ აქტივს, პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობასა და მოსახლეობის, საზოგადოებრიობის გარკვეულ ნაწილს შორის.

ამ დაპირისპირებაში ვერც ერთმა მხარემ ვერ გამოიჩინა ვერც ტაქტი, ვერც თავშეკავება, ვერც სიმშვიდე, ვერ შეძლო მოეგვარებინა ერთმანეთთან დიალოგი, როგორც პარტნიორებთან, თუნდაც ისინი გამოთქვამდნენ ზევრად პოლარულად საწინააღმდეგო შეხედულებებს. თავი იჩინა ზოგიერთი ამხანაგის არათანამიმდევრულობამაც, კონიუნქტურულმა მერყეობამაც.

რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის, ადგილობრივი პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელები ბევრს მუშაობენ, ქანცის გაწყვეტამდე, მაგრამ შრომის საყოველთაო ინტენსიფიკაციის ხანაში სასარგებლოა ესოდენ თავდადებული მუშაობის წარმატების კრიტერიუმებს ჩავუფიქრდეთ. მინდა ხაზი გავუსვა — თანამედროვე კრიტერიუმებს.

გინდათ თუ არ გინდათ, მაგრამ დემოკრატიზაციის პირობებში თქვენ დღენიადაგ გიხდებათ გქონდეთ საქმე ოპონენტებთან, რომლებიც გამოთქვამენ ზოგჯერ თქვენი აზრის საწინააღმდეგო აზრს. ოპონენტი შეიძლება გახდეს პარტნიორი, მაგრამ ამისათვის, როგორც მინიმუმი, საჭიროა მასთან საუბარი, მისი მოსმენა.

აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დიალოგის კულტურას, განსაკუთრებით — მწვავე და რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემებზე. თუ თქვენ დააპირეთ დემოკრატია და გარდაქმნა ტანკებით დაგეცვათ, ხალხისათვის მაინც გეთქვათ ეს, გაგეფრთხილებინათ, საფუძვლიანად მოგემზადებინათ.

პირდაპირ გეტყვით, პარტიულ აქტივს არ ეყო ადამიანებთან ლაპარაკის უნარი. სადღაც პარტიული ორგანიზაცია დაადგა ცალკე გზას, დაშორდა მასას, გაჩნდა წინააღმდეგობა, იქნებ — დაპირისპირებაც.

მე ვიცი, რაოდენ ბევრს და როგორი მონდომებით შრომობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაკები, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები, ცდილობენ, რაც შეიძლება უკეთ გააკეთონ ყველაფერი.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ პარტიული ხელმძღვანელობის წარმოდგენა უკეთესზე ბევრრამეში არ დაემთხვა საზოგადოებრივ მოლოდინს.

ახლა, როცა მოხდა ტრაგიკული ამბები, რაც უნდა ქნას პარტიულმა ორგანიზაციამ — პასუხისმგებლობა ეკისრება მას, ყველა თქვენგანს. მე ლაპარაკი მაქვს ყველა რანგის ხელმძღვანელი-კომუნისტების მორალურ პასუხისმგებლობაზე, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება დაისვას პასუხისმგებლობის სხვა ფორმის საკითხიც.

რაოდენ მძიმეც უნდა იყოს მათთვის, ძნელია გაამართლო მათი გადაწყვეტილება — საშველად მოეხმოთ ჯარები და ელაპარაკათ ხალხთან ტანკებსა და ჯავშანტრანსპორტიორებს ამოფარებულთ. მე მაინც ვფიქრობ, რომ აქ იყო ნაჩქარეობის ელემენტები, არ გაუანგარიშებიათ შესაძლო ვარიანტები, არ დაუპროგნოზებიათ შედეგები.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ჩემთვის არცთუ ადვილია ესოდენ მკაცრი შეფასების მიცემა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი არ მინდა ხაზი გადავუსვა რესპუბლიკური პარტორგანიზაციის მუშაობას.

რესპუბლიკის ხელმძღვანელებს მოქმედება მოუხდათ უაღრესად ძნელ პირობებში. ეს უნდა გავიგოთ და გავითვალისწინოთ — მათ შორის ახალმა ხელმძღვანელებმაც.

დამაიმედებელია, რომ რესპუბლიკაში არიან ძლიერი, საიმედოდ და სტაბილურად მომუშავე პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც უძნელეს დროსაც კი არ დაუკარგავთ სიტუაციისადმი კონტროლი, სათავეში ედგნენ საზოგადოებრივ მოძრაობებს, იყვნენ გარდაქმნისა და განახლების ავანგარდში.

მე უკვე ვთქვი და მზად ვარ გავიმეორო: ამ დღეებში ჩვენ წინ გაიარა ათობით, იქნებ, ასობით ადამიანმაც. გაიარეს და გაატარეს — ზოგმა დროშასავით, ზოგმა მახვილივით — ცხოვრების საჭირბოროტო პრობლემები და საკითხები. ბევრნი ლაპარაკობდნენ ისეთ რამეზე, როგორიც არის სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა, თვითგამორკვევა, თანაც ლაპარაკობდნენ საქმის ცოდნით, წინათ წარმოუდგენელი ერუდიციით. იგრძნობა, რომ ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემა, რომელსაც მიეძღვნება ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური პლენუმი, უაღრესად მწვავე და გამახვილებული საზოგადოებრივი ყურადღების სფეროში აღმოჩნდა. რომ ადამიანები ისწრაფვიან, გაიაზრონ იგი როგორც თავიანთი სულიერი ყოფიერების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. მათი აზრები და წინადადებანი ადასტურებს, რომ სწორია პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ გამოტანილი დასკვნა — საჭიროა მომზადდეს ახალი ძირითადი კანონი, რომელიც შეესაბამება რესპუბლიკების კავშირის, ხალხთა კავშირის ნამდვილ, და არა მოჩვენებითს რეალობებსა და მოთხოვნილებებს, კავშირისა, რომელსაც საფუძვლად უნდა ედოს ერთმანეთისადმი ხალხთა ნამდვილი ნდობა.

მე მინდა ამის შესახებ ჩვენი ფიქრები და საუბრები თავისუფალი იყოს როგორც მიკერძოებისაგან, ისე იდეოლოგიური ლაყბობისაგან. პრობლემა ფრიად სერიოზულია, და მას წინანდელი ვულგარული კრიტერიუმებით ვერ მივუდგებით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კეთილმობილური დამოკიდებულება სხვა ხალხებისადმი, იქნება ეს ახლო მეზობლები თუ შორეული, თანდაყოლილი ეროვნული თვისებაა, რომელიც არ უნდა მოვასპობინოთ შეზღუდული ობივატელური გონების გაბოროტებას ან შურისგებას. მოდით, გვახსოვდეს, რომ ინტერნაციონალიზმი ჩვენი ეროვნული საუნჯეა.

მარტო მოწოდებებითა და ლოზუნგებით საქმეს წინ ვერ წავსწევ. ამ დღეებში გამოვლენილ ტენდენციებს სერიოზული გააზრება სჭირდება. რესპუბლიკის ახალ ხელმძღვანელობას — და ამაზე სავსებით სწორად ილაპარაკა ამხანაგმა გუმბარიძემ — მემკვიდრეობად რჩება ყოველგვარი ეროვნული ფობიები, სირთულენი და უთანხმოებანი. რაოდენ ძნელიც უნდა იყოს მისთვის ეროვნებათშორისი დიალოგის მოგვარება მრავალეროვან რესპუბლიკაში, მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის არსებული ტრადიციები და სოციალისტური პერიოდის რეალური მონაპოვრები, დარწმუნებული ვარ, დაეხმარება ახლანდელი გასაჭირის დაძლევაში.

მე მხედველობაში მაქვს ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის ტრადიციები, რომლებიც არ უნდა ვანაცვალოთ ნაციონალიზმსა და შოვინიზმს. მხედველობაში მაქვს ჩვენი რესპუბლიკის ყველა რეგიონი, მივაპყრობ რა თქვენს ყურადღებას აფხაზეთის ვითარებას. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ყველაზე მწვავე სიტუაცია ახლა თბილისში შეიქმნა, მაგრამ შეუწყნარებელი იქნებოდა გაგვეუბრალოებინა აფხაზეთსა და სხვა ავტონომიურ ფორმირებებში შექმნილი სიძნელეები.

თუ ნებას მომცემთ, მინდა გამოვთქვა ერთი რჩევა, გთხოვდით, ნუ მიუშვებთ სენს, ნუ მოაქცევთ მას სიღრმეში, ნუ მიიყვანთ საქმეს წყლულებამდე და ანთებამდე.

განა ვინმე უარყოფს ეროვნული იდეების უპირატესობას ხალხის სულიერ ღირებულებათა ნუსხაში? მაგრამ რაოდენ ძლიერ აუფასურებს და იმცირებს თავს, როცა მკვიდრდება სხვათა ეროვნული ღირსების ხარჯზე!

მინდა შევეხო აგრეთვე არმიას, მისდამი დამოკიდებულებას. იგი თბილისის ქუჩებში თავისი ნებით არ გამოსულა: იგი გამოვიდა და მითითებული ადგილები დაიკავა, როცა დაემორჩილა გადაწყვეტილებებს, რომლებსაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იღებდა, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. აქ, ამ დარბაზში, პლენუმის მონაწილეთა წინაშე, არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, როგორც ამხანაგებმა მითხრეს, ილაშქრებდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. ნ. როდიონოვი. იგი ამბობდა, რომ ეს ფუნქცია დამახასიათებელი არ არის არმიისათვის, რომ იგი, მისი კოლეგები, მისი ხელქვეითები სულ სხვა ამოცანებს უნდა წყვეტდნენ.

სხვა საქმეა, რომ მოვალენი ვართ მთელი შესაძლო გულმოდგინებით, ზედმიწევნით, ობიექტურად გამოვიძიოთ კანონიერების დარღვევის, მისგან გადახვევის ფაქტები, დავსახოთ დამნაშავენი, მივცეთ უმკაცრესი შეფასებები არამართლზომიერ მოქმედებასა და საქციელს. მოვალენი ვართ ხალხს ვაცნობოთ სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და სიმართლის გარდა სხვა არაფერი. მაგრამ იმავე სიმართლისათვის, რათა სიცრუითა და უთქმელობით არ შეურაცხვყოთ დაღუპულთა ხსოვნა, მოვალენი ვართ გავიხილოთ ის შემთხვევებიც, როცა უკვე ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც ამას ამბობს ბევრი ამხანაგი და ადასტურებს დოკუმენტები, იძულებული იყვნენ თავი დაეცვათ თავდასხმისაგან.

იმათ, ვინც იკისრებს და გაუძღვება 9 აპრილის ამბების გამოძიების, — არა მარტო გამოძიების, არამედ მიზეზების გამოკვლევის საქმეს, უნდა გამოიჩინონ მეტად აწონ-დაწონილი მიდგომა და უაღრესი გულისხმიერება. თავს ნებას მივცემ, გავაფრთხილო ამხანაგები — მოერიდონ ნაჩქარევ მსჯელობებსა და ემოციებით ძლიერად შეფერადებულ შეფასებებს. ჭეშმარიტებას არ სჭირდება მეტისმეტად თვალისმომჭრელი და მდიდრული სამოსელი.

მაგრამ, დავუბრუნდეთ მეორე არასასიამოვნო ფაქტს — ქალაქის ცხოვრების განრიგში კომენდანტის საათს. ამბობენ, ეს ანომალიააო. ვეთანხმები. თვითონ მეც, როცა 9 აპრილს მოსკოვიდან ჩამოვფრინდი, გამაოცა თბილისის უჩვეულო იერმა. მაგრამ მის ქუჩებში ტანკებისა და ქვეითთა ჯარის საბრძოლო მანქანების ყოფნა მეტი ანომალია როდია, ვიდრე იმის ცდები, რომ მოშალონ მილიონიანი ქალაქის ცხოვრება, დაარღვიონ მისი სამსახურების მუშაობა, მოშალონ მის მოქალაქეთა არსებობა.

ჩვენ უკვე შევთანხმდით, თუ როგორ უნდა მოიხსნას უფრო სწრაფად კომენდანტის საათი, შეიქმნას იმის პირობები, რომ ჯარებმა ქალაქი დატოვონ.

ამისათვის საჭიროა, რომ მოწავლენი ორშაბათს მერხებს მიუსხდნენ, სტუდენტები დაუბრუნდნენ სასწავლო აუდიტორიებს, ყველა, ვინც მუშაობა შეწყვიტა, დაუბრუნდეს თავის სამუშაო ადგილებს.

თუ ცხოვრება ქალაქში ნორმალურ კალაპოტში ჩადგება, ორშაბათს, 17 აპრილს, დაიწყება ჩვეულებრივი სამუშაო დღე, მაშინ ჯარები, იქნებ, იმ დღესვე გაიყვანონ.

აქ ბევრმა ამხანაგმა თქვა, რომ მზად არიან თავიანთ კოლექტივებთან ერთად გამოვიდნენ ქალაქში წესრიგის დასაცავად. ავიამშენებლებმა აღგვითქვეს, რომ იკისრებენ მის დაცვას თბილისის გარკვეულ ადგილებში.

ვფიქრობ, რომ თითოეული შრომითი კოლექტივი ხელს მოჰკიდებს ამ ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტას.

ამ იდეამ მხარდაჭერა პოვა ინტელიგენციას შორისაც. ისიც ასევე მზად არის იკისროს პასუხისმგებლობა რესპუბლიკის დედაქალაქში წესრიგის დაცვისათვის.

ახლა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა გაშალოს მუშაობა ასეთი გადაწყვეტილების მხარდასაჭერად, დარაზმოს თავის გარშემო მთელი ჯანსაღი ძალები. ჩვენი აზრით, სწორედ აქ არის გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — კადრები. მე უკვე ვილაპარაკე ზოგიერთ საკადრო საქმეზე. ახლა შევეხები სხვა საკითხებს, რომლებშიც უნდა გავერკვეთ ობიექტურად და ყურადღებით. ჩვენი ამხანაგების უმრავლესობა — ეჭვი არ მეპარება ამაში — კომპეტენტური, წესიერი, პატიოსანი, ასე ვთქვათ, გარდაქმნის ნორმატივების შესაფერისი ადამიანები არიან. არ მინდა მათ გული ვატკინო. მაგრამ, მეორე მხრივ, იმათგან, ვინც ვერ ართმევს თავს საქმეს — უნდა გავთავისუფლდეთ.

ამით ნება მიბოძეთ დავამთავრო. არსებული გარემოებანი და ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები საშუალებას არ გვაძლევს ვხარჯოთ დრო ხანგრძლივი ლაპარაკისათვის.

---

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### ამხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ზურაბ ამბროსის ძე ჩხეიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან თანახმად მისი თხოვნისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია

თბილისი. 1989 წლის 14 აპრილი.

---

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### ამხ. ნ. ა. ჭითანავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ნოდარ ამროსის ძე ჭითანავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია

თბილისი. 1989 წლის 14 აპრილი.

---

## კომენდანტის საათის საჭიროება რომ არ იყოს

**მუშური** რიტმით შრომობს რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტი" საქართველოსათვის ამ ძნელ და დაძაბულ დღეებში. რუსთაველი ქიმიკოსები არ წამოეგნენ არანაირი პროვოკაციის ანკესს და მტკიცედ იდგნენ აგრეგატებთან და უშვებდნენ პროდუქციას.

11 აპრილს სამგლოვიარო მიტინგებზე, რომლებიც გაიმართა ყველა საამქროსა და უბანში, ქიმიკოსები გულისტკივილით ლაპარაკობენ უდანაშაულო მსხვერპლზე, და ამასთან გამოხატავდნენ მტკიცე რწმენას, რომ ყველა, ვისაც ბრალი მიუძღვის ტრაგედიაში — უწინარეს ყოვლისა, ისინი, ვინც უბიძგებდა ხალხს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისაკენ — მკაცრად დაისჯება.

— ამ დღეებში ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს თბილისში და მთელ რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებს, — თქვა გაერთიანება „აზოტის" გენერალურმა დირექტორმა ზურაბ კერვალიშვილმა. — რუსთაველი ქიმიკოსები, ყველა როგორც ერთი, დარწმუნებული არიან, რომ დღეს განსაკუთრებით საჭიროა სიმშვიდე და თავდაჭერილობა, ნუ ავყვებით ემოციებს. შრომითი და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევა არ შეიმჩნეოდა ჩვენი გაერთიანების არც ერთ უბანზე.

რუსთაველმა ქიმიკოსებმა მხარი დაუჭირეს თბილისელ ავიამშენებლებთან ამხანაგების ე. ა. შევარდნაძისა და გ. პ. რაზუმოვსკის შეხვედრაზე გამოთქმულ წინადადებას, რომ თბილისის მუშათა კოლექტივების, მთელი რესპუბლიკის შეგნებული საზოგადოებრიობის ძალებით საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში ისეთი წესრიგი დაამყარონ, რომ უახლოეს დროს აღარ იყოს საჭირო კომენდანტის საათი თბილისში, საგანგებო ღონისძიებანი, და თავის მხრივ მოუწოდეს რესპუბლიკის ყველა შრომითს კოლექტივს აღადგინონ ნორმალური რიტმი ყველა საწარმოში, ყველა საამქროში, ყველა უბანზე, მტკიცედ პასუხი გასცენ ყველას, ვინც ცდილობს დაარღვიოს სამუშაო რიტმი, ჩაშალოს საწარმოების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, უმაღლესი სასწავლებლების, სკოლების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ნორმალური მუშაობა.

„მხოლოდ ასე შეიძლება მივაღწიოთ იმას, — ნათქვამია მიმართვაში, — რომ ქალაქ თბილისსა და მთელ რესპუბლიკაში დამყარდეს საზოგადოებრივი წესრიგი, შეიქმნას პირობები კომენდანტის საათის გაუქმებისათვის".

რუსთაველმა ქიმიკოსებმა მოუწოდეს თბილისის, საქართველოს ყველა ქალაქისა და რაიონის შრომითს კოლექტივებს მხარი დაუჭირონ ამ მოწოდებას, ხელი შეუწყონ იმას, რომ მუშაობა ყველგან მიმდინარეობდეს ნორმალური რიტმით და უკვე უახლოეს დროში გაუქმდეს კომენდანტის საათი.

# სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირის წესდება (პროექტი)

**V. საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების ფორმირების პრინციპები**

23. სსრკ საფეხბურთო კავშირის წინაშე მდგომი ამოცანების მაღალ, პროფესიულად კომპეტენტურ დონეზე გადაწყვეტის მიზნით მის ხელმძღვანელ ორგანოებში ასარჩევ კანდიდატებად სასურველია უმთავრესად სპორტსმენების, მწვრთნელების, მსაჯების, წამყვანი სპეციალისტებისა და ფეხბურთის ორგანიზატორების წამოყენება. მათ შორის:

ა) კონფერენციის დელეგატებად:

— ქვეყანაში არსებული ოსტატთა საშტატო გუნდების ან საფეხბურთო კლუბების წარმომადგენლები — თითო წარმომადგენელი გუნდიდან და კლუბიდან;

— მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის საფეხბურთო კავშირების წარმომადგენლები მოცემულ ტერიტორიაზე ფეხბურთში მომეცადინეთა რიცხვიდან წარმომადგენლობითი ნომრებით;

საფეხბურთო სპორტული სკოლების წარმომადგენლებს;

— სსრ კავშირის სპორტსახკომის, საკავშირო ალკკ ცკ-ის, საკავშირო პროფსაბჭოს ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების, საკავშირო სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტის და საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ფეხბურთის განვითარებაზე პასუხისმგებელ მუშაკებს;

— მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს;

— სსრკ საფეხბურთო კავშირის კომიტეტებისა და ალმასკომების წევრებსა და ხელმძღვანელებს;

— სსრკ საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლებს ფიფა-სა და უეფა-ში;

ბ) საბჭოს წევრებად:

— უმაღლესი ლიგის ოსტატთა გუნდების (კლუბების) წარმომადგენლებს;

— პირველი ლიგის ოსტატთა გუნდების (კლუბების) წარმომადგენლებს;

— მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის II ლიგის ოსტატთა გუნდების (კლუბების წარმომადგენლებს (თითო წარმომადგენელს რესპუბლიკიდან, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან);

— მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის საფეხბურთო კავშირების წარმომადგენლებს;

— საფეხბურთო სპორტული სკოლების წარმომადგენლებს;

— სსრ კავშირის სპორტსახკომის, საკავშირო ალკკ ცკ-ის, საკავშირო პროფსაბჭოს ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების, საკავშირო სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტის და საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ფეხბურთის განვითარებაზე პასუხისმგებელ მუშაკებს;

— მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს;

— სსრკ საფეხბურთო კავშირის კომიტეტებისა და ალმასკომების წევრებსა და ხელმძღვანელებს;

— სსრკ საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლებს ფიფა-სა და უეფა-ში;

გ) ალმასკომის წევრებად:

— მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის საფეხბურთო კავშირების წარმომადგენლებს;

— წამყვან მწვრთნელებს, ფეხბურთელებს და მსაჯებს;

— წამყვან სპეციალისტებს, ფეხბურთის ორგანიზატორებს;

— სსრ კავშირის სპორტსახკომის, საკავშირო ალკკ ცკ-ის, პროფკავშირთა, „დინამოს", სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, „შრომითი რეზერვების" ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლებს;

— სსრკ საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლებს ფიფა-სა და უეფა-ში.

**VI. კავშირის სამართლებრივი დებულება**

24. სსრკ საფეხბურთო კავშირს, ტერიტორიულ საფეხბურთო კავშირებს აქვთ იურიდიული პირის უფლება. უფლება აქვთ ჰქონდეთ ანგარიშები საკრედიტო დაწესებულებებში, შეიძინონ და რეალიზაცია გაუკეთონ სპორტულ ინვენტარს, მოწყობილობას და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც განეკუთვნება ძირითად ფონდებს.

25. მთლიან თვითდაფინანსებაზე და თვითანაზღაურებაზე გადასვლამდე სსრკ საფეხბურთო კავშირის საშტატო რაოდენობას განსაზღვრავს სსრ კავშირის სპორტსახკომი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტთან, საკავშირო ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოება „დინამოს" ცენტრალურ საბჭოსთან და პროფკავშირთა საკავშირო ნებაყოფლობით ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებასთან შეთანხმებით სპორტსმენებისა და მწვრთნელებისთვის მათ მიერ დადგენილი ხელფასების ჩარჩოებში.

სსრ კავშირის სპორტსახკომი დახმარებას უწევს სსრკ საფეხბურთო კავშირს მის წინ მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში თავისი სტრუქტურის სხვადასხვა ქვეგანყოფილებების საშუალებით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ.

26. საფეხბურთო კავშირებს უფლება აქვთ მიიღონ მართვის ეკონომიკური მეთოდები, დადგენილი წესით შექმნან მათი საქმიანობისთვის აუცილებელი საწარმოები, რომლებიც დაამზადებენ სუვენირებს, სპორტულ ატრიბუტიკას, სარეკლამო პროდუქციას, გახსნან სპეციალიზირებული საფირმო მაღაზიები, დამოუკიდებლად განახორციელონ ან წილობრიობით საწყისებზე მიიღონ მონაწილეობა სპორტნაგებობების, საცხოვრებლების, სოცკულტყოფითი ობიექტების მშენებლობაში; ჩაატარონ სასწავლო-მეთოდური შეკრებები, განავითარონ თანამშრომლობა კოოპერატივებთან, საზღვარგარეთის ფირმებთან სპონსორობის საფუძველზე, ჰქონდეთ თავიანთი სიმბოლიკისა და ატრიბუტიკის იურიდიული დაცვა.

27. სსრკ საფეხბურთო კავშირს უფლება აქვს მოსახლეობის მოთხოვნილების გათვალისწინებით მოუმატონ (დააკლონ) ფასი ბილეთებზე და ტარიფებზე არსებულ ფასებს იმ სპორტულ-სანახაობითი ღონისძიებების ჩატარებისას, რომლებსაც აწყობს კავშირი, დაწესებული წესით განსაზღვრავს ფასებს სუვენირებზე და თავისი წარმოების სხვა ნაკეთობებზე.

28. სსრკ საფეხბურთო კავშირის მიერ ჩატარებული სპორტულ-სანახაობრივი ღონისძიებების სატელევიზიო ტრანსლაცია ხდება კავშირთან შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

29. სსრკ საფეხბურთო კავშირის ალმასკომი შეიმუშავებს და ამტკიცებს სანორმატივო-მეთოდურ საბუთებს, რომლებიც კავშირისა და მისი ორგანოების საქმიანობას არეგულირებენ.

სსრკ საფეხბურთო კავშირის საქმიანობის იმ პერიოდში, როდესაც არ არის უზრუნველყოფილი კავშირის მთლიანი თვითანაზღაურება და თვითდაფინანსება, ის საკითხები, რომლებიც არ შედის მის კომპეტენციაში, ალმასკომს განსახილველად შეაქვს შესაბამის სადირექტივო ორგანოებში.

30. ტერიტორიული საფეხბურთო კავშირები შეიმუშავებენ და ამტკიცებენ თავიანთ წესდებებს წინამდებარე წესდების საფუძველზე თავიანთი საქმიანობის პირობების მისადაგებით.

31. საფეხბურთო კავშირები სარგებლობენ შრომითი კოლექტივების უფლებებით და მოქმედებენ სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

32. სსრკ საფეხბურთო კავშირს აქვს თავისი ბეჭდვითი ორგანო, რომლის შემოსავალიც ხმარდება კავშირის მუშაობისა და ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების დაფინანსებას.

**VII. საფეხბურთო კავშირის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა**

33. კავშირის დაფინანსების ძირითადი წყაროებია: სსრ კავშირის სპორტსახკომის, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციებისა და საწარმოების შენატანები იმ პერიოდში, ვიდრე კავშირი შეძლებს სრული თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე გადასვლას; საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილე კლუბების საგანაცხადო შენატანები; კავშირის წევრთა შესასვლელი შენატანები, გადარიცხვები სსრ კავშირის ნაკრებების მატჩებიდან, „სპორტპროგნოზი", ნივთების ლატარიები, საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს შემოსავალი, მარკეტინგი, სპონსორების, ცალკეული პირების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების შენატანები, სავალუტო შემოსავალი გუნდების საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობიდან, იმ მწვრთნელებისა და მოთამაშეების მომზადებისთვის, რომლებიც კონტრაქტის თანახმად გადავიდნენ დასავლეთის კლუბებში, აგრეთვე ის თანხები, რომლებსაც იღებენ საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლები საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ფეხბურთის განვითარების დაფინანსების ზემოთ ჩამოთვლილი წყაროების გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკუთარი სამეურნეო და საგამომცემლო საქმიანობის (ნაბეჭდი პროდუქციის, სუვენირების რეალიზაცია), კომერციული რეკლამის, კულტურული პროგრამების ჩატარების შემოსავალი.

კავშირის სახსრები გამოიყენება მისი საქმიანობის უზრუნველსაყოფად და ქვეყანაში ფეხბურთის შემდგომი განვითარების მიზნით.

კავშირისა და მისი სტრუქტურული წარმონაქმნების საფინანსო-ეკონომიკური უზრუნველყოფის წესი განისაზღვრება შესაბამისი დოკუმენტებით, რომელსაც იმუშავებს კავშირი და ამტკიცებს შესაბამისი სადირექტივო ორგანოები.

34. სსრკ საფეხბურთო კავშირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ყალიბდება მისთვის გამოყოფილი ლიმიტებითა და ფონდებით შენაძენების ხარჯზე, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საბჭოების სახელმწიფო საწარმოების, ორგანიზაციებისა და სასწავლებლების, პროფკავშირების, კოოპერატივებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ კავშირისათვის სპორტული ნაგებობების, სათავსების, სპორტულ-სანახაობითი საწარმოების, სასტუმროების სოცკულტყოფითი ობიექტების, ტრანსპორტი, სხვადასხვა აღჭურვილობისა და ძირითად ფონდებში შემავალი სხვა ქონების უსასყიდლოდ გადაცემის გზით, აგრეთვე იჯარისა და სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის ხარჯზე, მათ შორის — წილობრივ საწყისებზე.

**VIII. საფეხბურთო კავშირის ატრიბუტიკა**

35. სსრკ საფეხბურთო კავშირს, ტერიტორიულ კავშირებს აქვთ დროშა, ვიმპელი, ემბლემა, სამკერდე ნიშანი, სპორტული მედლები და ჟეტონი, საპატიო სიგელი დასაჯილდოებლად, აგრეთვე ბეჭედი და შტამპი კავშირის დასახელებით. ეროვნულ და რესპუბლიკურ გუნდებს აქვთ ოფიციალური ფორმა გერბით და ემბლემით.

სსრკ საფეხბურთო კავშირის სიმბოლიკის იურიდიული დაცვა მხოლოდ მისი პრეროგატივაა.

**IX. საფეხბურთო კავშირის საქმიანობის შეწყვეტა**

36. სსრკ საფეხბურთო კავშირის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს სსრკ საფეხბურთო კავშირის კონფერენციის გადაწყვეტილებით.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 71, 72.

---

მოჭადრაკე ქალთა შესარჩევი ტურნირი

# მიჯანთან [illegible]

**მინსკი (15 აპრილი. ტელეფონით „ლელოს" სპეც. კორ.)** 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობის შესარჩევი ასპარეზობის დამთავრებამდე ორი ტურის შეხვედრები დარჩა ჩასატარებელი. მიუხედავად ამისა, ერთადერთი საგზურის ბედნიერი მფლობელის ვინაობის წინასწარ გამოცნობა მაინც ძნელია. მას შემდეგ, რაც VIII ტურში სოფიკო ნიკოლაძემ მოუგო ოლგა იაშჩენკოს (სხვათა შორის, ნიკოლაძემ პირველ წრეშიც სძლია ბაქოელ ოსტატობის კანდიდატს), მან 4,5 ქულა მოაგროვა და ახლა როსტოველ ეკატერინა კოვალევსკაიასთან ერთად ლიდერობს ტურნირს. 4 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს კიშინიოველ ირინა ბაკს, 3,5 — ბაქოელ ზამირა აგაევას. ლიდერთა დავაში შეუძლია ჩაერიოს მინსკელ ლევიტანსაც, რომელსაც 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს და ბოლოს, ოლგა იაშჩენკომ 2,5 ქულა მოაგროვა. ბოლო ორ ტურში სოფიკო ნიკოლაძის მეტოქეები არიან ლევიტანი და ზაკი, თავის მხრივ, ლევიტანი იაშჩენკოს ხვდება, ზაკი — კოვალევსკაიას, ეს უკანასკნელი — აგაევას. აგაევა მეორე პარტიას იაშჩენკოსთან თამაშობს. აი, სწორედ ეს შეხვედრები გადაწყვეტს I ადგილის ბედს. შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში სოფიკო დაუზავდა ზაკს და დამარცხდა ლევიტანთან.

რაც შეეხება 18 და 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შეჯიბრებას, აქ მე და ნათია ჯანჯღავა დღითიდღე ვიმტკიცებთ მდგომარეობას. 9 ტურის შემდეგ მე 7,5 ქულა მაქვს, ჯანჯღავასა და მატვეევას — 6,5-6,5, სოფიევას — 6. ბელაკოვსკაიამ 5,5 ქულა მოაგროვა, მაგრამ ერთი პარტია დასამთავრებელი აქვს, ველიხანლიმ, კორკინამ და ლაისონმა 5-5 ქულა მოაგროვეს. შემდეგ მოდიან ლაგვილავა — 3 (1), დომარკაიტე — 3, ტერელაძე, კიბრიკი, იურევა — 2,5-2,5, შური — 1,5.

შეგახსენებთ, რომ მე, ჩემი წლოვანების გამო, ორივე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაში შემიძლია მონაწილეობა, მაგრამ, რა თქმა უნდა, 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის მირჩევნია თამაში, ის უფრო პრესტიჟული ტურნირია. მატვეევას, სოფიევას, ბელაკოვსკაის, ველიხანლის, ლაისონს, ლაგვილავასა და დომარკაიტეს მხოლოდ უფროსი ასაკის ქალთა ტურნირის საგზურის მოპოვების შ[illegible] აქვთ. 18 წლამდე ასაკის გოგონა[illegible] შორის კი, როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი ჯანჯღავას აქვს. იგი მთელი ქულანახევრით უსწრებს კორკინას.

ახლა კი უშუალოდ IX ტურის შეხვედრათა შესახებ. მატვეევამ მოუგო იურევას, ველიხანლიმ — შურს. დაზავდნენ კორკინა და ლაისონი.

მე დომარკაიტეს ვხვდებოდი. იტალიური პარტია გავითამაშეთ. თუმცა ლიტველი ოსტატი თეთრი ფიგურებით თამაშობდა, იგი მაინც ჩამორჩა ფიგურების განვითარებაში. როცა ხაზები გავხსენი, მეტოქემ არასწორი დაცვა აირჩია, რის შედეგადაც ორი პაიკი მოვიგე და ენდშპილში მატერიალური უპირატესობით გადავედი. მაგრამ ამის მიუხედავად, დომარკაიტეს მუდმივი ქიშის შანსი გაუჩნდა და იძულებული გავხდი ძალიან ზუსტად მეთამაშა, რაც მოვახერხე კიდეც და პარტია გამარჯვებამდე მივიყვანე.

ჯანჯღავამ თავიდანვე ძლიერად წარმართა შეხვედრა სოფიევას წინააღმდეგ და საგრძნობი სივრცე მიიღო დაფაზე. ამის შემდეგ ნათიამ ნელ-ნელა გააძლიერა პოზიცია. ბაქოელი საერთაშორისო ოსტატი პასიურად იცავდა თავს და ცაიტნოტშიც მოექცა. ქართველმა ოსტატმა ეფექტური გამარჯვება მოიპოვა.

ლაგვილავა შავი ფიგურებით ეთამაშებოდა ბელაკოვსკაიას და თავიდანვე მძიმე პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ ოდესელი ოსტატი ძალზე აქტიურად თამაშობდა და ველარ მოზომა, დაკარგა ჯერ ერთი, შემდეგ კიდევ ორი პაიკი. პარტია გადაიდო, ლაგვილავას სამი ზედმეტი პაიკი აქვს და ალბათ მისი მეტოქე თამაშის განუახლებლად შეწყვეტს წინააღმდეგობას.

ტერელაძე — კიბრიკის ორთაბრძოლაში ესპანური პარტია გათამაშდა. პოზიცია ძალიან ჩაიკეტა და მეტოქეებმა აღარ გარისკეს, დაზავება ამჯობინეს.

**ქეთევან კახიანი,**
**საერთაშორისო ოსტატი**

---

# ტოკიოს გაემგზავრნენ

იაპონიის დედაქალაქს გაფრინდა საბჭოთა ათლეტების ერთი ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ პროფესიონალ მოჭიდავეთა შეჯიბრებაში. ჯგუფში არიან თავისუფალი, კლასიკური სტილისა და ძიუდოს წარმომადგენლები, მათ შორის მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ს. ხასიმიკოვი, ოლიმპიური ჩემპიონი შ. ჩოჩიშვილი, მსოფლიოს ჩემპიონი ე. არტიუხინი, აგრეთვე, ა. მაისურაძე, ვ. ზანგიევი, ვ. ბერკოვიჩი, ბ. გოგიჩაშვილი და ვ. ევლოევი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ადრე ეს ათლეტები უმთავრესად მძიმე წონაში გამოდიოდნენ.

---

## ამერიკელები არ ხუმრობენ

**1994 წლის** მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება. ამ ქვეყანაში გადაწყვიტეს შექმნან ერთიანი საფეხბურთო ლიგა, ამჟამად არსებული 2 ლიგა — დასავლეთისა და ამერიკული გაერთიანდება, 20 გუნდი გაითამაშებს ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის წოდებას.

ამის თაობაზე ჟურნალისტებს განუცხადა ამერიკის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა კლაივ თოუმ, — ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცხოველებით ემზადებიან 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, ვცდილობთ ჩვენი გუნდი სიძლიერით სხვა მეტოქეებს არ ჩამორჩეს, ამიტომაც ყველაფერს ვაკეთებთ მძლავრი საფეხბურთო ლიგის შესაქმნელად.

---

## „სპორტპროგნოზი"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" მე-15 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 5.297.226 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (10) მოგება 7.945 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (184) — 863 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (2.136) — 260 მანეთი.

საქართველოში: 13—1 (ბათუმი), 12 — 7, 11 — 131.

მე-15 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 29 აპრილიდან 29 მაისის ჩათვლით.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 XII უე 10418